

---

სესხის ნომერი 3524-GEO

**სასესხო შეთანხმება**

(ჩვეულებრივი ოპერაციები)

(მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი)

**საქართველოსა**

**და**

**აზიის განვითარების ბანკს**

**შორის**

დათარიღებული: 2017 წლის 19 ივნისით

---

GEO 46375

სასესხო შეთანხმება

(ჩვეულებრივი ოპერაციები)

წინამდებარე სასესხო შეთანხმება, დათარიღებული 19.06.17, საქართველოსა (შემდგომში „მსესხებელი“) და აზიის განვითარების ბანკს (შემდგომში „ADB“) შორის,

სადაც,

(ა) მსესხებელმა მიმართა ADB-ს სესხის გამოყოფის თაობაზე, წინამდებარე სასესხო შეთანხმების დანართ 1-ში აღწერილი პროექტის მიზნებისათვის;

(ბ) პროექტი განხორციელდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ („MRDI“) და ამ მიზნით მსესხებელი MRDI-სთვის ხელმისაწვდომს გახდის სესხის თანხას ADB-სთვის მისაღები, შეთანხმებაში მოცემული ვადებისა და პირობების მიხედვით; და

(გ) ADB თანახმაა გასცეს სესხი მსესხებელზე ADB-ის ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსებიდან, წინამდებარე შეთანხმებაში მოცემული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

ამგვარად, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი I

სასესხო ინსტრუქციები; განმარტებები

პუნქტი 1.01. ADB-ს 2017 წლის 1 იანვრით დათარიღებული ჩვეულებრივი ოპერაციებისათვის განსაზღვრული სასესხო ინსტრუქციების („სასესხო ინსტრუქციები“) ყველა დებულება ვრცელდება წინამდებარე სასესხო შეთანხმებაზე იგივე ძალითა და ეფექტით, როგორც მას ექნებოდა წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენის შემთხვევაში.

პუნქტი 1.02. წინამდებარე სასესხო შეთანხმებაში გამოყენებულ რამოდენიმე ტერმინს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია სასესხო ინსტრუქციებში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი წინამდებარე დოკუმენტში სხვაგვარად არის განმარტებული ან კონტექსტიდან სხვა რამ გამომდინარეობს. წინამდებარე სასესხო შეთანხმებაში გამოყენებულ დამატებით ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

(ა) „საკონსულტაციო სახელმძღვანელო“ ნიშნავს სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც გამოიყენება აზიის განვითარების ბანკისა და მისი მსესხებლების მიერ საკონსულტაციო მომსახურებით სარგებლობისას (2013 წლის ვერსია, რომელიც პერიოდულად ექვემდებარება ცვლილებების შეტანას);

(ბ) „საკონსულტაციო მომსახურება“ ნიშნავს სესხის თანხიდან დაფინანსებულ მომსახურებას, როგორც ეს აღწერილია წინამდებარე სასესხო შეთანხმების დანართი 1-ის 3 ქვეპუნქტში;

(გ) „გარემოზე ზემოქმედების გეგმა“ ან „EMP“ გულისხმობს პროექტისთვის გარემოსდაცვის მართვის გეგმას, რომელიც მოიცავს მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ შესწორებას და

17/14042017

რომელიც შესულია IEE-ში;

(დ) „გარემოსდაცვის უსაფრთხოების ღონისძიებები“ გულისხმობს SPS-ის მე-5 თავის, პირველ დანართსა და მეოთხე დანართში ჩამოყალიბებულ პრინციპებსა და მოთხოვნებს (საჭიროების შესაბამისად);

(ე) „საქონელი“ ნიშნავს ხელსაწყო-დანადგარებსა და მასალებს, რომელთა დაფინანსება მოხდება სესხის თანხიდან, მათ შორის აღნიშნულთან დაკავშირებულ მომსახურებებს, როგორცაა ტრანსპორტირება, დაზღვევა, მონტაჟი, საკომისიო მომსახურება, ტრენინგი და პირველადი მომსახურება, გარდა საკონსულტაციო მომსახურებისა;

(ვ) „მკვიდრი მოსახლეობის გარანტიები“ გულისხმობს SPS-ის მეხუთე თავში, მესამე და მეოთხე დანართში (საჭიროების შესაბამისად) განსაზღვრულ პრინციპებსა და მოთხოვნებს;

(ზ) „IEE“ ანუ „გარემოს პირველადი შესწავლა“ გულისხმობს პროექტისათვის გარემოს პირველად კვლევას, მათ შორის მასში შეტანილ ცვლილებებს, რომელიც მომზადებული და წარმოდგენილია მსესხებლის მიერ და დამტკიცებულია ADB-ს მიერ;

(თ) „იძულებით განსახლების გარანტიები“ გულისხმობს SPS-ის მეხუთე თავში, მეორე და მეოთხე დანართში (საჭიროების შესაბამისად) განსაზღვრულ პრინციპებსა და მოთხოვნებს;

(ი) „სესხის თანხების ჩამორიცხვის სახელმძღვანელო“ ნიშნავს ADB-ს სესხის თანხების ჩამორიცხვის სახელმძღვანელოს (2015 წლის ვერსია, მასში პერიოდულად შეტანილი ცვლილებებით);

(კ) „PAM“ გულისხმობს პროექტის ადმინისტრირების სახელმძღვანელოს, რომელიც დათარიღებულია 2016 წლის 25 ნოემბრით, და შეთანხმებულია მსესხებელსა და ADB-ს შორის და რომელიც დროდადრო ექვემდებარება ცვლილებას, მსესხებლისა და ADB-ის შესაბამისი ადმინისტრაციული პროცედურების დაცვით;


(ლ) „შესყიდვების სახელმძღვანელო“ გულისხმობს ADB-ის შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპებს (2015 წლის ვერსია, რომელიც დროდადრო ექვემდებარებოდა შესწორებას);

(მ) „შესყიდვის გეგმა“ გულისხმობს პროექტის შესყიდვის გეგმას, დათარიღებულს 2016 წლის 11 ნოემბრით, და შეთანხმებულს მსესხებელსა და ADB-ის შორის, რომელიც დროდადრო ექვემდებარება განახლებას, შესყიდვების სახელმძღვანელოს, საკონსულტაციო სახელმძღვანელოს და ADB-ისთან შეთანხმებული სხვა ღონისძიებების შესაბამისად;

(ნ) „პროექტის არეალი“ გულისხმობს გეოგრაფიულ არეალს, რომელშიც მოქცეულია პროექტის გზები;

(ო) „პროექტის განმახორციელებელი სააგენტო“ სასესხო ინსტრუქციების მიზნებისთვის, და ამ მნიშვნელობით, გულისხმობს MRDI-ს ან მის წევრსა და სამართალმემკვიდრეს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროექტის განხორციელებაზე და მისაღები იქნება ADB-სთვის;

(პ) „პროექტის გზები“ გულისხმობს გზას (მათ შორის მისასვლელ გზას), როგორც ეს მითითებულია წინამდებარე შეთანხმების პირველი დანართის, მეორე პარაგრაფში;

 1707 2017

(ე) „RD“ ნიშნავს MRDI-ის საავტომობილო გზების დეპარტამენტს, ან ADB-სთვის მისაღებ ნებისმიერ უფლებამონაცვლეს, რომელიც იქნება პასუხისმგებელი პროექტის განხორციელებაზე;

(რ) „განსახლების გეგმა“ ან „RP“ გულისხმობს პროექტის განსახლების გეგმას, მათ შორის მასში შეტანილ ცვლილებებს, რომელიც მომზადებული და წარმოდგენილია მსესხებლის მიერ და დამტკიცებულია ADB-ს მიერ;

(ს) „უსაფრთხოების მონიტორინგის ანგარიში“ ნიშნავს მსესხებლის მიერ, მომზადებულ და ADB-ში წარდგენილ თითოეულ ანგარიშს, რომელიც აღწერს EMP-ის გახორციელებას, EMP-ისა და RP-ის (საპროექტისამებრ) შესაბამისად, ნებისმიერი მაკორექტირებელი და აღმკვეთი ღონისძიებების ჩათვლით;

(ტ) „SPS“ გულისხმობს ADB-ს უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებებს (2009 წლის ვერსია) და;

(უ) „სამუშაოები“ გულისხმობს სასესხო სახსრებიდან დასაფინანსებელ მშენებლობას ან სამშენებლო სამუშაოებს, მათ შორის ისეთ მომსახურებას, როგორცაა საბურღი სამუშაოები ან რუკების შედგენა და პროექტთან დაკავშირებულ მომსახურებას, რომელიც ხორციელდება ან ცალკეული პასუხისმგებლობის ფარგლებში ან კონტრაქტის სრული პაკეტის ფარგლებში, მაგრამ არ გულისხმობს საკონსულტაციო მომსახურებას.

## მუხლი II

### სესხი

პუნქტი 2.01. ა) ADB თანახმაა ADB-ის ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსებიდან გასცეს სესხი მსესხებელზე ოთხმოცი მილიონი დოლარის ოდენობით (\$80,000,000), იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებული თანხა შესაძლოა დროდადრო კონვერტირებულ იქნას ვალუტის კურსის მიხედვით, წინამდებარე სასესხო შეთანხმების პუნქტი 2.06-ში მოცემული დებულებების შესაბამისად.

(ბ) სესხის ძირითადი თანხის დაფარვის ვადა შეადგენს 11 წელს, ხოლო საშეღავათო პერიოდი განსაზღვრულია ქვემოთ მოცემულ ქვეპუნქტში (გ);

(გ) ტერმინი „საშეღავათო პერიოდი“, რომელიც გამოყენებულია ამ პუნქტის (ბ) ქვეპუნქტში, გულისხმობს პერიოდს, სესხის ძირითადი თანხის პირველი გადახდის თარიღამდე, ამორტიზაციის განრიგის შესაბამისად, რომელიც ფორმულირებულია წინამდებარე სასესხო შეთანხმების დანართში 2;

პუნქტი 2.02. მსესხებელი გადაუხდის ADB-ს პროცენტს ათვისებულ და დაუბრუნებელ სესხის თანხაზე დროდადრო თითოეულ საპროცენტო პერიოდში განაკვეთით, რომელიც ტოლია საკრებელთა ჯამისა:

(ა) LIBOR;

(ბ) 0.60%, როგორც ეს განსაზღვრულია სასესხო ინსტრუქციების პუნქტში 3.02, და

მე  
17072017

გამოკლებული შეღავათის განაკვეთი 0.10%-ის ოდენობით, როგორც ეს სასესხო ინსტრუქციების 3.03 პუნქტშია განსაზღვრული, და

(გ) სადაზღვეო შენატანი 0.20%-ის ოდენობით, როგორც ეს სასესხო ინსტრუქციების 3.03 პუნქტშია განსაზღვრულია.

პუნქტი 2.03. მსესხებელი გადაუხდის ADB-ს ვალდებულების გადასახდელს წლიური 0.15%-ის ოდენობით. ასეთი გადასახდელი უნდა დაერიცხოს სესხის მთლიან თანხაზე (გარდა დროდადრო ათვისებული თანხებისა), დაწყებული წინამდებარე სასესხო შეთანხმების ხელმოწერის თარიღიდან 60 დღის შემდეგ.

პუნქტი 2.04. სესხზე დარიცხული პროცენტი ან ნებისმიერი სხვა სახის საკომისიოები გადახდილი უნდა იყოს წელიწადში ორჯერ, ყოველი წლის 1 მაისსა და 1 ნოემბერს.

პუნქტი 2.05. სასესხო ანგარიშიდან გამოტანილი სესხის ძირითად თანხას მსესხებელი დაფარავს წინამდებარე შეთანხმების დანართ 2-ში მოცემული დებულებების შესაბამისად.

პუნქტი 2.06. (ა) მსესხებელს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს სესხის პირობებში შემდეგი ცვლილების შეტანა, რათა ხელი შეუწყოს სესხის გონივრულ მართვას:

- (i) სესხის ძირითადი თანხის მთლიანი ან ნაწილობრივი, ათვისებული ან ათვისებელი ნაწილის სესხის ვალუტის შეცვლა დამტკიცებული ვალუტით;
- (ii) ათვისებული და დაუბრუნებელი სესხის ძირითადი ოდენობის მთლიანი ან ნაწილობრივი თანხის საბაზისო ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ფიქსირებული განაკვეთით ან პირიქით შეცვლა; და
- (iii) ათვისებული და დაუბრუნებელი სესხის ძირითადი ოდენობის მთლიანი ან ნაწილობრივი თანხის ცვლად განაკვეთზე ლიმიტების დაწესება, ცვლად განაკვეთზე საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვრის ან საპროცენტო განაკვეთის ქვედა ზღვრის დადგენის გზით.

(ბ) წინამდებარე პუნქტის (ა) ქვეპუნქტის თანახმად საჭირო ნებისმიერი ცვლილება, რომელიც დადასტურებულია ADB-ის მიერ, უნდა განისაზღვროს როგორც „კონვერსია“, როგორც ეს განმარტებულია სასესხო ინსტრუქციების 2.01 (6) პუნქტში და შევა ძალაში სასესხო ინსტრუქციების V მუხლის და კონვერსიის სახემძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

### მუხლი III

#### სესხის თანხის გამოყენება

პუნქტი 3.01. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს სესხის თანხის გამოყენება მხოლოდ პროექტით გათვალისწინებული ხარჯების დასაფინანსებლად, წინამდებარე სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისად.

პუნქტი 3.02. სესხის თანხების გამოთხოვა და გამოყენება უნდა მოხდეს წინამდებარე სასესხო შეთანხმების დანართში 3 მოცემული პირობების შესაბამისად, რომელიც დროდადრო შესაძლოა შეიცვალოს მსესხებელსა და ADB-ს შორის შეთანხმების საფუძველზე.

*Handwritten signature and date:*  
 2017.11.17

პუნქტი 3.03. თუკი სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული ADB-სთან, მსესხებელი უზრუნველყოფს ან ქმნის პირობებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ დანახარჯების დაფინანსება გახორციელდეს სესხის თანხებიდან, წინამდებარე შეთანხმების დანართში 4 შესული დებულებების შესაბამისად.

პუნქტი 3.04. სასესხო ინსტრუქციების პუნქტით 9.02 განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მიზნებისათვის, სასესხო ანგარიშიდან სესხის მოხსნის ბოლო თარიღია 2022 წლის 28 თებერვალი, ან სხვა თარიღი, რომლის პერიოდულად შეთანხმება შესამღებელია მსესხებელსა და ADB-ს შორის.

#### მუხლი IV

##### განსაკუთრებული დებულებები

პუნქტი 4.01 პროექტის განხორციელებისა და პროექტთან დაკავშირებული საქმიანობის გახორციელების პროცესში მსესხებელმა უნდა შეასრულოს ან უზრუნველყოს წინამდებარე სასესხო შეთანხმების დანართში 5 მოცემული ყველა ვალდებულების შესრულება.

პუნქტი 4.02 (ა) მსესხებელმა RD-ის მეშვეობით უნდა (i) უზრუნველყოს ცალკე ანგარიშები და ჩანაწერები აღნიშნული პროექტისათვის; (ii) მოამზადოს პროექტის წლიური ფინანსური ანგარიში, ADB-სთვის მისაღები ფინანსური ანგარიშების სტანდარტების შესაბამისად; (iii) ყოველწლიურად განახორციელებინოს აღნიშნული ფინანსური ანგარიშების აუდიტი დამოუკიდებელ აუდიტორებს, რომელთა კვალიფიკაცია, გამოცდილება და კომპეტენცია მისაღებია ADB-სთვის, აუდიტის ჩატარების სტანდარტების შესაბამისად; (iv) თითოეული მსგავსი აუდიტის შემთხვევაში აუდიტორებს მოამზადებინოს ანგარიში, რომელშიც მოცემული იქნება აუდიტორების მოსაზრებებები (გეზ) ფინანსურ ანგარიშებთან და სესხის თანხების გამოყენებასთან დაკავშირებით და მენეჯმენტის წერილი (რომელიც განსაზღვრავს პროექტის შიდა კონტროლის კუთხით არსებულ ნაკლოვანებებს რომელიც აღმოჩენილ იქნა აუდიტის მიერ, ასეთის არსებობის შემთხვევაში); და (v) ფისკალური წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 6 თვის ვადაში ADB-ს წარუდგინოს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშების, აუდიტის დასკვნებისა და მენეჯმენტის წერილის ასლები, ინგლისურ ენაზე და ასევე აღნიშნულ დოკუმენტებთან და აუდიტთან დაკავშირებული ინფორმაცია, დროდადრო ADB-ს გონივრული მოთხოვნის შესაბამისად.

(ბ) ADB-მ საკუთარ ვებ-გვერდზე უნდა გაასაჯაროს პროექტის აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშები და მასთან დაკავშირებული აუდიტის დასკვნები, ADB-ის მიერ აღნიშნული დოკუმენტების მიღების დადასტურებიდან 14 დღის ვადაში.

(გ) მსესხებელმა RD-ის მეშვეობით საშუალება უნდა მისცეს ADB-ის, ADB-ის მოთხოვნის საფუძველზე, წინამდებარე თავის (ა)(iii) ქვეპუნქტის შესაბამისად დაქირავებულ აუდიტორებთან ერთად განიხილოს პროექტის ფინანსური საკითხები და მსესხებლის ფინანსური საქმიანობა, თუ ეს დაკავშირებულია პროექტთან და უფლებამოსილება მიანიჭოს და მოსთხოვოს აღნიშნული აუდიტორების წარმომადგენლებს მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ განხილვებში, ADB-ს მოთხოვნის შესაბამისად. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული განხილვები უნდა ჩატარდეს მხოლოდ მსესხებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით, გარდა იმ შემთხვევისა თუ მსესხებელთან არ მოხდება სხვაგვარად შეთანხმება.

პუნქტი 4.03 მსესხებელმა შესამღებლობა უნდა მისცეს ADB-ს წარმომადგენლებს განხორციელონ პროექტის, საქონლისა და სამუშაოების და შესაბამისი ჩანაწერების და დოკუმენტაციის ინსპექტირება.

მკ 24072017

**მუხლი V**

**ძალაში შესვლა**

პუნქტი 5.01. სასესხო ინსტრუქციების 10.04 პუნქტის მიზნებრიობიდან გამომდინარე, წინამდებარე სასესხო შეთანხმების ძალაში შესვლის ვადად განისაზღვრება 60 დღე წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან.

**მუხლი VI**

**სხვადასხვა პირობები**

პუნქტი 6.01. მსესხებლის ფინანსთა მინისტრი მიიჩნევა მსესხებლის წარმომადგენლად სასესხო ინსტრუქციების 12.02 პუნქტში განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე.

პუნქტი 6.02. ქვემოთ მოყვანილი მისამართები განსაზღვრულია სასესხო ინსტრუქციების 12.01 პუნქტში განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე:

**მსესხებლისათვის**

ფინანსთა სამინისტრო  
გორგასლის ქუჩა No16, 0114  
თბილისი, საქართველო

ფაქსი:

(99532) 2262-423.

**ADB-სათვის**

აზიის განვითარების ბანკი  
6 ADB გამზირი  
ქალაქი მანდალუონგი  
1550 მეტრო მანილა  
ფილიპინები

ფაქსი:

(632) 636-2444

(632) 636-2301.

001707017

რის დასტურადაც, მხარეები მოქმედებენ რა თავიანთი სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით, უზრუნველყოფენ, რომ ხელი მოეწეროს წინამდებარე სასესიო შეთანხმებას მათი სახელით და ზემოთ მითითებულ თარიღსა და წელში და მიეწოდოს ADB-ის სათაო ოფისში.

საქართველოს სახელით

---

დიმიტრი ქუშიშვილი

პირველი ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი

აზიის განვითარების ბანკის სახელით

---

შონ მ. ოსალივანი

ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტის

გენერალური დირექტორი

77 17072077

დანართი 1

პროექტის აღწერილობა

1. პროექტის მიზანია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებისა და ტურისტებისათვის მოზილობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა.
2. პროექტი გულისხმობს ძირულა-ჩუმათელეთის დამაკავშირებელი, დაახლოებით 50 კმ-იანი გზის რეაბილიტაციას, 2 ზოლიან, ყველა ამინდზე გათვლილ, სტანდარტების შესაბამის გზად, მათ შორის მოკლე დამაკავშირებელი გზებით ბორჯომი-ხარაგაულის ტყე პარკთან, ხარაგაულთან და სხვა სარკინიგზო სადგურებთან.
3. პროექტი ასევე მოიცავს სამშენებლო საზედამხედველო და პროექტის მართვის კუთხით კონსულტაციების მომსახურებას.
4. პროექტის დასრულების სავარაუდო თარიღია 2021 წლის 31 აგვისტო.

მე 1707017

## დანართი 2

## ამორტიზაციის განრიგი

1. ქვევით მოცემულ ცხრილში განსაზღვრულია სესხის ძირითადი თანხის გადახდის თარიღები და სესხის მთლიანი ძირითადი თანხის პროცენტი, რომელიც გადახდილ უნდა იქნას ძირითადი თანხის ყოველი გადახდის თარიღისათვის (სესხზე შენატანი). იმ შემთხვევაში, თუ სესხის თანხები მთლიანად უნდა ყოფილიყო ათვისებული სესხის ძირითადი თანხის დასაფარი პირველი გადახდის თარიღისათვის, სესხის ძირითადი თანხის ოდენობა, რომელიც მსესხებლის მიერ უნდა დაიფაროს სესხის ძირითადი თანხის ყოველი გადახდის თარიღისათვის განისაზღვრება ADB-ს მიერ, გამრავლდება რა: (ა) სესხის ძირითადი თანხის პირველი გადახდის თარიღისათვის მთლიანად ათვისებული და დაუფარავი სესხის ძირითადი თანხა (ბ) სესხზე შენატანზე, ძირითადი თანხის ყოველი გადახდის თარიღისათვის; აუცილებლობის შემთხვევაში, ეს გადასახდელი თანხა შესაძლებელია ჩასწორდეს, რათა მოხდეს ამ დანართის პუნქტში 4 შესული ნებისმიერი თანხების გამოკვეთვა, რომლებზეც ვრცელდება ვალუტის კონვერტაცია.

გადახდის თარიღი	სესხზე შენატანი (პროცენტებში %)
1 მაისი 2030	4.545455
1 ნოემბერი 2030	4.545455
1 მაისი 2031	4.545455
1 ნოემბერი 2031	4.545455
1 მაისი 2032	4.545455
1 ნოემბერი 2032	4.545455
1 მაისი 2033	4.545455
1 ნოემბერი 2033	4.545455
1 მაისი 2034	4.545455
1 ნოემბერი 2034	4.545455
1 მაისი 2035	4.545455
1 ნოემბერი 2035	4.545455
1 მაისი 2036	4.545455
1 ნოემბერი 2036	4.545455
1 მაისი 2037	4.545455
1 ნოემბერი 2037	4.545455
1 მაისი 2038	4.545455
1 ნოემბერი 2038	4.545455
1 მაისი 2039	4.545455
1 ნოემბერი 2039	4.545455
1 მაისი 2040	4.545455
1 ნოემბერი 2040	4.545445
სულ	100.000000

2. იმ შემთხვევაში, თუ სესხის თანხები მთლიანად არ არის ჩამორიცხული ძირითადი თანხის პირველი გადახდის თარიღისთვის, მსესხებლის მიერ სესხის ძირითადი თანხის ყოველი გადახდის თარიღისთვის ძირითადი თანხის გადასახდელი თანხა დგინდება შემდეგნაირად:

(ა) იმ შემთხვევაში თუ სესხის თანხების ნაწილი გამოთხოვილია ძირითადი თანხის დაფარვის პირველი გადახდის თარიღისთვის, მსესხებელმა უნდა გადაიხადოს გამოთხოვილი

და შესაბამისი თარიღისთვის გადაუხდელი თანხა ამ დანართის პირველი პარაგრაფის შესაბამისად.

(ბ) ნებისმიერი თანხა, რომლის გამოთხოვაც მოხდა ძირითადი თანხის პირველი გადახდის თარიღის შემდეგ, უნდა იქნას გადახდილი ძირითადი თანხის ყოველი გადახდის თარიღში, რომელიც დადგება აღნიშნული გამოთხოვის შემდეგ, იმ ოდენობით, რომელსაც განსაზღვრავს ADB ყოველი ასეთი გამოთხოვილი თანხის გამრავლებით წილადზე, რომლის მრიცხველიც იქნება სესხზე თავდაპირველი შენატანი, რომელიც განსაზღვრულია პირველ პარაგრაფში მოცემულ ცხრილში, ძირითადი თანხის შესაბამისი გადახდის თარიღისთვის (სესხზე თავდაპირველი შენატანი), ხოლო მნიშვნელოვანი იქნება ამ თარიღში ან ამ თარიღის შემდეგ დარჩენილი ძირითადი თანხის გადახდის თარიღების შესაბამისი თავდაპირველი შენატანების ჯამი, და ამგვარად დაანგარიშებული თანხა შეიძლება ჩასწორდეს, რათა მოხდეს ამ დანართის პუნქტში 4 შესული ნებისმიერი თანხების გამოქვითვა, რომლებზეც ვრცელდება ვალუტის კონვერტაცია.

3. ჩამორიცხვა, რომელიც გახორციელდა ძირითადი თანხის პირველი გადახდის თარიღამდე ორი კალენდარული თვის განმავლობაში, ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდის თარიღისთვის ძირითადი თანხის დაფარვისათვის გადასახადი თანხის გამოთვლის მიზნით, იქნება ჩათვლილი როგორც ათვისებული და გადაუხდელი, ჩამორიცხვა თარიღიდან ძირითადი თანხის დაფარვის შემდგომი თარიღისათვის და იქნება გადასახდელი ძირითადი თანხის ყოველი გადახდის თარიღში, დაწყებული ათვისების თარიღის შემდეგ დამდგარი ძირითადი თანხის შემდგომი გადახდის თარიღიდან.

4. მიუხედავად ამ დანართის პირველ და მეორე პარაგრაფებში შესული დებულებებისა, ათვისებული სესხის ძირითადი თანხის მთლიანი ან მისი ნებისმიერი ნაწილის დამტკიცებულ ვალუტაში კონვერტირებისას, დამტკიცებულ ვალუტაში კონვერტირებული თანხა, რომელიც უნდა იქნას გადახდილი ძირითადი თანხის დაფარვის მიზნით რომელიმე გადახდის თარიღში, რომელიც დადგება კონვერტირების პერიოდის განმავლობაში, იქნება განსაზღვრული ADB-ის მიერ კონვერტაციამდე თავის ვალუტაში დენომინირებული აღნიშნული თანხის გამრავლებით ერთ-ერთზე მომდევნო ორიდან: (i) გაცვლით კურსზე, რომელიც ასახავს ძირითად თანხას აღნიშნულ დამტკიცებულ ვალუტაში, რომლის გადახდაც ხდება ADB-ს მიერ ვალუტის ჰეჯირების ტრანზაქციის ფარგლებში, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ კონვერტირებასთან ან (ii) იმ შემთხვევაში, თუ ADB ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს, კონვერტაციის პრინციპების შესაბამისად, გამოცხადებულ გაცვლით კურსზე.

5. თუ სესხის ათვისებული და გადაუხდელი ძირითადი თანხა დროდადრო იქნება დენომინირებული ერთზე მეტ სასესხო ვალუტაში, ამ დანართში მოცემული დებულებები ცალცალკე გამოიყენება სესხის ყოველ ვალუტაში განსაზღვრული თანხის მიმართ, ისე რომ მიღებული იქნება ცალკე ამორტიზაციის განრიგი ყოველი ასეთი თანხისთვის.

### დანართი 3

#### სესხის თანხების გამოთხოვა და მიღება

##### ზოგადი დებულება

1. წინამდებარე დანართზე თანდართულ ცხრილში განსაზღვრულია იმ ხარჯების კატეგორიები, რომლებიც უნდა დაფინანსდეს სესხის თანხებიდან, აგრეთვე თითოეული კატეგორიისათვის გამოყოფილი სესხის თანხების ოდენობა („ცხრილი“). („კატეგორია“ ამ დანართში აღნიშნავს ცხრილში მოცემულ „კატეგორიას“).

##### სასესხო ანგარიშიდან თანხის გამოთხოვის საფუძველი

2. თუ ADB-სთან სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, სესხის თანხები უნდა იქნას გამოყოფილი ხარჯვითი კატეგორიებისთვის და ჩამორიცხული ცხრილში ჩამოთვლილი ხარჯების კატეგორიების პროცენტული მაჩვენებლების საფუძველზე.

##### პროცენტი და ვალდებულების გადასახდელები

3. კატეგორია „პროცენტი და დარიცხული ვალდებულებისთვის“ გამოყოფილი თანხა განკუთვნილია სესხის პროცენტისა და ვალდებულების გადასახდელის დასაფინანსებლად პროექტის განხორციელების პერიოდის განმავლობაში. ADB-ს შეეძლება სასესხო ანგარიშიდან გაიტანოს და მსესხებლის სახელით, თავის სასარგებლოდ გადაიხადოს თანხა, სესხის პროცენტისა და ვალდებულების გადასახადთან დაკავშირებული დანახარჯების დასაფარად მაშინ, როცა დაფარვის დრო დადგება.

##### რეალუკაცია

4. მიუხედავად ცხრილში მოცემული სესხის თანხების გამოყოფისა და თანხების პროცენტული განაწილებისა,

(ა) თუ ნებისმიერი კატეგორიისათვის გამოყოფილი სესხის თანხა არასაკმარისი აღმოჩნდება ამ კატეგორიის ყველა შეთანხმებული დანახარჯის დასაფინანსებლად, ADB-ის მსესხებლისათვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, შეუძლია (i) ამ კატეგორიის სავარაუდო დეფიციტის შესავსებად ხელახლა გადაანაწილოს ასეთ კატეგორიაზე თანხა, კერძოდ, სესხის ის თანხები, რომლებიც სხვა კატეგორიისათვის იყო გათვალისწინებული, და ამავდროულად, ADB-ის მოსაზრებით, არ არის საჭირო სხვა დანახარჯების დასაფინანსებლად; (ii) თუ ასეთი გადაანაწილებით ვერ მოხერხდება სავარაუდო დეფიციტის სრულად შევსება, შეუძლია შეამციროს ამ ხარჯვითი კატეგორიით გათვალისწინებული თანხის პროცენტული მაჩვენებელი, რათა ხარჯვითი კატეგორიით გათვალისწინებული თანხის შემდგომში გატანა გაგრძელდეს, სანამ დეფიციტი არ შეივსება; და

(ბ) თუ რომელიმე კატეგორიისათვის გამოყოფილი სესხის თანხა აღემატება ამ კატეგორიის ყველა შეთანხმებული ხარჯების ოდენობას, ADB-ს შეუძლია, მსესხებლისათვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, ასეთი ზედმეტი თანხა სხვა კატეგორიებზე გადაანაწილოს.

17/07/2017

ჩამორიცხვის პროცედურები

5. თუ ADB-სთან სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, სასესხო ანგარიშიდან სესხის თანხების ჩამორიცხვა განხორციელდება სესხის თანხების ჩამორიცხვის სახელმძღვანელოში მოცემული დებულებების შესაბამისად.

რეტროაქტიული დაფინანსება

6. სესხის ანგარიშიდან თანხების ამოღება უნდა განხორციელდეს შესაბამისი ხარჯების დასაფინანსებლად პროექტის თანახმად ძალაში შესვლის თარიღამდე, არაუადრეს 12 თვისა სამუშაოებთან და საკონსულტაციო სერვისებთან დაკავშირებულ სასესხო შეთანხმებისა, რომელიც ექვემდებარება მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვივალენტურია სესხის თანხის 20%-ისა.

მ/ 17072017

## ცხრილი

სესხის თანხების განაწილება და გამოთხოვა			
ნომერი	დასახელება	ADB-ის მიერ დაფინანსებისათვის გამოყოფილი ჯამური თანხა (\$ აშშ დოლარში) კატეგორია	სასესხო ანგარიშიდან თანხის გატანის საფუძველი
1	სამუშაოები და საკონსულტაციო მომსახურება	62,700,00	მისაღები თანხის 100%*
2	პროექტის მართვის კუთხით დახმარება	704,000	მისაღები თანხის 100%*
3	პროცენტი და ვალდებულების საკომისიო	2,000,000	მისაღები თანხის 100%*
4	გაუნაწილებელი	14,596,000	
	სულ	80,000,000	

\*არ მოიცავს მსესხებლის ტერიტორიაზე დაწესებულ გადასახადებსა და მოსაკრებლებს

მუხრანა 17

**დანართი 4**

**საქონლის, სამუშაოებისა და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა**

**ზოგადი დებულება**

1. საქონლის, სამუშაოებისა და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა უნდა განხორციელდეს შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპების და საკონსულტაციო სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.
2. თუ ADB-თან სხვაგვარად არ შეთანხმდება, საქონლისა და სამუშაოების შესყიდვა და საკონსულტაციო მომსახურების შერჩევა და გაწევა უნდა მოხდეს ქვემოთ განსაზღვრულ შესყიდვებისა და შერჩევის მეთოდზე დაყრდნობით. სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნული მეთოდები ეხება შესყიდვების გეგმით განსაზღვრულ დეტალურ ღონისძიებებსა და ზღვრულ მოცულობას. მსესხებელს შეუძლია შეცვალოს მხოლოდ შესყიდვის (მათ შორის საერთაშორისო კონკურენტული ვაჭრობის, ნაციონალური კონკურენტული ვაჭრობის ან საყიდლების) და შერჩევის მეთოდი ან ADB-ს წინამდებარე ხელშეკრულების ზღვრული ღირებულება, და ცვლილებები გატანილი უნდა იყოს შესყიდვის გეგმის განახლებებში.
3. ყველა გამოყენებულ ტერმინს, რომელიც სხვაგვარად არ არის განმარტებული წინამდებარე სასესიო შეთანხმებაში, აქვს შესყიდვების სახელმძღვანელოში და/ან საკონსულტაციო სახელმძღვანელოში მინიჭებული შესაბამისი მნიშვნელობა.

**საქონელი და სამუშაოები**

4. საქონლისა და სამუშაოების შესყიდვა უნდა მოხდეს შემდეგი შესყიდვის მეთოდის შესაბამისად: საერთაშორისო კონკურენტული ვაჭრობა.

**კონტრაქტის დადების პირობები**

5. მსესხებელმა არ უნდა გააფორმოს სამუშაოებთან დაკავშირებული კონტრაქტი, თუ იგი ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედებას, მანამ სანამ:
  - ა) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან არ იქნება მიღებული საბოლოო თანხმობა IEE-ზე; და
  - ბ) EMP-ის შესაბამისი დებულებები არ იქნება შეტანილი სამუშაოების თაობაზე გაფორმებულ კონტრაქტში.
6. მსესხებელმა არ უნდა გააფორმოს სამუშაოებთან დაკავშირებული კონტრაქტი, თუ იგი ითვალისწინებს იძულებით განსახლებას, მანამ სანამ:
  - ა) მსესხებელი არ მოამზადებს და ADB-ს არ წარუდგენს საბოლოო RP-ს, პროექტის დეტალურ აღწერილობაზე დაყრდნობით და ADB-საგან არ მიიღებს დასტურს აღნიშნული RP-ს თაობაზე; და
  - ბ) სამუშაოებთან დაკავშირებული კონტრაქტისათვის საჭირო მიწის შესყიდვისა და განსახლების სულ მცირე 50%, ადგილმდებარეობის შესაბამისად, არ განხორციელდება საბოლოო RP-ს შესაბამისად.

*მე 1007244*

საკონსულტაციო მომსახურება

7. გარდა ქვემოთ პუნქტებში განსაზღვრული შემთხვევებისა, მსესხებელი საკონსულტაციო მომსახურების შერჩევას მოახდენს ხარისხისა და ხარჯის მიხედვით.

8. მსესხებელმა კონკრეტული საკონსულტაციო მომსახურების შერჩევას უნდა გამოიყენოს შემდეგი შერჩევის მეთოდი, რომელიც სხვა დანარჩენ საკითხებთან ერთად შესაბამისობაშია შესყიდვების გეგმით გათვალისწინებულ პროცედურებთან: აუდიტორული მომსახურებისათვის ყველაზე ნაკლები ღირებულების მიხედვით შერჩევა.

9. მსესხებელმა უნდა შეარჩიოს ინდივიდუალური კონსულტანტი როგორც განსაზღვრულია შესყიდვის გეგმაში, ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევისათვის ADB-თვის მისაღები პროცედურების შესაბამისად. მსესხებელს დროთა განმავლობაში შეუძლია შეცვალოს თითოეული კონსულტანტის დანიშნულება შესყიდვის გეგმაში და თითოეული ასეთი ცვლილება უნდა წარმოადგენდეს ADB-სთან წინასწარი დამტკიცების საგანს ADB-ს ადმინისტრაციული პროცედურების შესაბამისად.

სამრეწველო და ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

10. (ა) მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ საქონლისა და სამუშაოების (მათ შორის, შეუზღუდავი რაოდენობის კომპიუტერული მოწყობილობების, პროგრამებისა და სისტემების როგორც ცალკე, ასევე სხვა საქონელთან და მომსახურებასთან ერთად) შესყიდვისას ადგილი არ ჰქონდეს რომელიმე მესამე მხარის სამრეწველო ან ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევას ან მესამე მხარის მხრიდან პრეტენზიას.

(ბ) მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ საქონლისა და სამუშაოს შესყიდვების თაობაზე გაფორმებული ყველა კონტრაქტი შეიცავდეს სათანადო დებულებებს, გარანტიებს და საჭიროების შემთხვევაში, კონტრაქტორის ან მომწოდებლის მიერ ზარალის ანაზღაურების გარანტიას, ამ პარაგრაფის (ა) ქვეპარაგრაფში მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით.

11. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ კონსულტანტებთან გაფორმებული ყველა კონტრაქტი, რომელიც ADB-ის მიერ ფინანსდება, მოიცავდეს შესაბამის დებულებებს, გარანტიებს კონსულტანტების მხრიდან, ან საჭიროების შემთხვევაში, ზარალის ანაზღაურების გარანტიას, იმისათვის, რათა საკონსულტაციო მომსახურების მოწოდებისას ადგილი არ ჰქონდეს რომელიმე მესამე მხარის სამრეწველო ან ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევას ან მესამე მხარის მხრიდან პრეტენზიას.

ADB-ს მიერ შესყიდვის გადაწყვეტილებების განხილვა

12. საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად შესყიდული კონტრაქტები და საკონსულტაციო სამსახურებთან გაფორმებული კონტრაქტები ექვემდებარება ADB-ის მიერ წინასწარ განხილვას, თუკი მსესხებლისა და ADB-ის შორის სხვაგვარად არ არის შეთანხმებული და შესყიდვების გეგმაში სხვაგვარად არ არის მითითებული.

13. საქონლისა და სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებული კონტრაქტის

მე-17



## დანართი 5

## პროექტის განხორციელება; ფინანსური საკითხები

განხორციელების ღონისძიებები

1. მსესხებელმა, პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს და RD-ის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს პროექტის განხორციელება PAM-ში განსაზღვრული დეტალური ღონისძიებების შესაბამისად. PAM-ში რაიმე სახის შემდგომი ცვლილება ძალაში შევა მხოლოდ პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს და ADB-ის (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესყიდვის გეგმის ნებისმიერი შემდგომი ცვლილება ამოქმედდება მხოლოდ RD-ის და ADB-ს თანხმობის შემდეგ) მიერ დამტკიცების შემდეგ. PAM-სა და სასესხო შეთანხმებას შორის რაიმე სახის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება სასესხო შეთანხმებაში შესულ დებულებებს.

ოპერაციული დებულებები

2. მსესხებელმა, RD-ის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს (ა) პროექტის განხორციელება ტექნიკური საპროექტო სპეციფიკაციებისა და საშენებლო ნორმების შესაბამისად; და (ბ) მშენებლობის ზედამხედველობის, ხარისხის კონტროლისა და კონტრაქტის მართვის განხორციელება მიღებული საერთაშორისო სამრეწველო პრაქტიკის შესაბამისად.

3. მსესხებელმა, შესაბამისად პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს ან RD-ის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს ADB-ს ინფორმირება მსესხებლის საგზაო სექტორის პოლიტიკის შესახებ, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს პროექტის ეკონომიკურ ეფექტურობაზე.

4. მსესხებელმა, RD-ის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს შესაბამისი უსაფრთხოების ნიშნებისა და ნაგებობების განთავსება პროექტის მიმდინარეობისას და საგზაო მოძრაობისა და საგზაო შემთხვევების რეგულარული მონიტორინგი.

5. მსესხებელმა, RD-ის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს ADB-ს წერილობითი თანხმობის მიღება შემდეგი ღონისძიებების განხორციელებამდე სულ მცირე 6 თვით ადრე: (ა) პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ნებისმიერი ობიექტის, აქტივის ან სტრუქტურის მფლობელობის შეცვლა; (ბ) პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ნებისმიერი ობიექტის, აქტივის ან სტრუქტურის გაყიდვა, წილის ან კონტროლის გადაცემა; ან (გ) RD-ის უფლებამოსილების ცვლილება ან კონტრაქტის ცვლილება, პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ნებისმიერი ობიექტის, აქტივის ან სტრუქტურის მართვასთან და ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს ყველა ცვლილების კანონის შესაბამისად და ტრანსპარენტულად განხორციელება.

6. მსესხებელმა, RD-ის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს (ა) რომ 2021 წლის 31 აგვისტოსთვის გზების პროექტი შეტანილი იქნება მსესხებლის გზის აქტივების მართვის სისტემაში და ოპერაციისა და შენახვისთვის შესაბამისი ბიუჯეტი იქნება გამოყოფილი (ბ) საპროექტო გზების ტექნიკურად გამართვა და ფუნქციონირება კარგ პირობებში, საერთაშორისო სტანდარტებისა და ფუნქციური კლასის შესაბამისად, მათ შორის გზის ზედამართვის საექსპლუატაციო ხარისხისა და აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა საკუთარი რესურსებით.

მე 10/2017

**გარემო**

7. მსესხებელმა, RD-ის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს ის, რომ პროექტისა და პროექტთან დაკავშირებული საშუალებების მომზადება, დაპროექტება, მშენებლობა, განხორციელება, ექსპლუატაცია და ექსპლუატაციიდან მოხსნა მიმდინარეობდეს: (ა) მსესხებელის ქვეყანაში მომქმედი გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული კანონების და რეგულაციების დაცვით; (ბ) გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომების დაცვით; (გ) IEE-სა და IMP-ში მოცემული ზომებისა და მოთხოვნების დაცვით და უსაფრთხოების მონიტორინგის ანგარიშში მოცემული მაკორექტირებელი და აღმკვეთი ზომების შესაბამისად.

**მიწის შეძენა და იძულებითი განსახლება**

8. მსესხებელმა, RD-ის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტის განსახორციელებლად საჭირო მიწა და მიწაზე უფლება ხელმისაწვდომია მშენებლობის კონტრაქტორისთვის სამშენებლო კონტრაქტით გათვალისწინებული განრიგის შესაბამისად და რომ ყველა საჭირო მიწის შესყიდვა და განსახლება განხორციელდებულა: ა) მიწის შესყიდვასთან და არანებაყოფილებით განსახლებასთან დაკავშირებული მსესხებლის კანონების და რეგულაციების შესაბამისად, ბ) არანებაყოფილებითი განსახლების პირობების, და გ) ყველა მოთხოვნა და რომელის განსაზღვრულია RP-ში და რაიმე გამოსასწორებელი ან შემარბილებელი ღონისძიებები რომლებიც განსაზღვრულია უსაფრთხოებით მონიტორინგის ანგარიშში.

9. არანებაყოფილებითი განსახლების პირობების ან RP-ის მოთხოვნების შეუზღუდავად, მსესხებელი, RD-ის მეშვეობით უზრუნველყოფს, რომ პროექტთან დაკავშირებული ფიზიკური და ეკონომიკური განსახლება არ განხორციელდეს მანამ სანამ:

- ა) RP-ის შესაბამისად არ მოხდება დაზარებული პირებისათვის კომპენსაციისა და სხვა ვალდებულებების გასტუმრება;
- ბ) RP-ის შესაბამისად არ მოხდება, სრული შემოსავლისა და საარსებო წყაროს აღდგენის პროგრამის შექმნა.

**უსაფრთხოების მოთხოვნების შესასრულებლად საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსები**

10. მსესხებელმა, RD-ის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს ფინანსური და ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობა, EMP-ის და RP-ის სრულფასოვნად შესრულების მიზნით.

**უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დებულებები სატენდერო დოკუმენტებსა და სამუშაოების თაობაზე გაფორმებულ კონტრაქტებში**

11. მსესხებელმა, RD-ის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა სატენდერო დოკუმენტი და სამუშაოების თაობაზე გაფორმებული კონტრაქტი შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც კონტრაქტორებს ავალდებულებს:

- (ა) შეასრულონ შესაბამის IEE-სა, EMP-სა და RP-ში მოცემული კონტრაქტორისთვის გასათვალისწინებელი ზომები და მოთხოვნები

*Handwritten signature*

(აღნიშნულის ფარგლებში ისინი განიხილავენ მშენებლობის დროს დაზარალებული მოსახლეობაზე მოხდენილ გავლენას) და უსაფრთხოების მონიტორინგის სახელმძღვანელოში მოცემული მაკორექტირებელი და აღმკვეთი ღონისძიებები;

- (ბ) შეადგინონ ბიუჯეტი ყველა მსგავსი გარემოსდაცვითი და სოციალური ღონისძიებისათვის;
- (გ) წერილობითი შეტყობინების ფორმით აცნობონ მსესხებელს ნებისმიერი გაუთვალისწინებელი გარემოსდაცვითი რისკისა თუ ზიანის შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროექტის ფარგლებში წარმოებული მშენებლობის, პროექტის გახორციელებისა თუ ექსპლუატაციის ფაზაში, რომლებიც გათვალისწინებული არ არის IEE-სა, EMP-სა და RP-ში;
- (დ) სათანადო ჩანაწერების სახით აღწერონ გზების, სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, პროექტით გათვალისწინებული მასალების გადაზიდვისა და სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე; და
- (ე) სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ უზრუნველყონ გზების, სხვა ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების აღდგენა მათი, სულ მცირე, პროექტის დაწყებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად.

უსაფრთხოების მონიტორინგი და ანგარიშგება

12. მსესხებელმა, RD-ის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს შემდეგი:

- (ა) ADB-ს წარუდგინოს ნახევარწლიანი უსაფრთხოების მონიტორინგის ანგარიშები და აღნიშნული ანგარიშიდან შესაბამისი ინფორმაცია წარდგენისთანავე აცნობოს დაზარალებულ პირებს;
- (ბ) იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი გაუთვალისწინებელი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური რისკი თუ ზიანი წარმოიშვება პროექტის ფარგლებში წარმოებული მშენებლობის, პროექტის გახორციელებისა თუ ექსპლუატაციის ფაზაში, რომლებიც გათვალისწინებული არ არის IEE-სა, EMP-სა და RP-ში, დაუყოვნებლივ აცნობოს ADB-ს აღნიშნული რისკებისა თუ შედეგების შესახებ; დეტალურად აღწეროს მომხდარი მოვლენა და წარადგინოს რეკომენდებული სამოქმედო გეგმა არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად; და
- (გ) მოახსენოს EMP-სა და RP-ში მოცემულ ზომებსა და მოთხოვნებთან რეალური თუ პოტენციური შეუსაბამობის შესახებ, მოვლენების ამგვარი განვითარების შესახებ შეტყობისთანავე.

მ. ი. ჯიჭია

აკრძალული ინვესტირების სფეროთა ჩამონათვალი

13. მსესხებელმა, RD-ის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს, რომ სესხის თანხები არ იქნას გამოყენებული იმ საქმიანობის დასაფინანსებლად, რომელიც მოცემულია აკრძალული ინვესტირების სფეროთა ჩამონათვალში, რომელიც მოცემულია SPS-ის დანართში 5.

შრომის სტანდარტები, ჯანდაცვა და უსაფრთხოება

14. მსესხებელმა, RD-ის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს პროექტის გახორციელების მანძილზე შრომის ძირითადი სტანდარტების დაცვა და მსესხებელის ქვეყანაში მოქმედ კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობა. პროექტის ფარგლებში ADB-ის მიერ დაფინანსებულ შესაბამის დოკუმენტაციასა და კონტრაქტებში მსესხებელმა, RD-ის მეშვეობით უნდა შეიტანოს კონკრეტული დებულებები, რომელთა თანახმადაც კონტრაქტორებს მოეთხოვებათ შემდეგი: (ა) დაექვემდებარონ მსესხებელის ქვეყანაში მოქმედ შრომის კოდექსს და შესაბამის რეგულაციებს და გაითვალისწინონ სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების დაცვის შესაბამისი ნორმები; (ბ) არ დაუშვან ბავშვების შრომა; (გ) არ დაუშვან დასაქმებულთა დისკრიმინაცია, დასაქმებისას და მათ მიერ გახორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით; (დ) არ დაუშვან იძულებითი შრომა; (ე) დაიცვან გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლება; და (ვ) გაავრცელონ ინფორმაცია, ან ამ საქმეში ჩართონ შესაბამისი მომსახურების მოწოდებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის გავრცელებას სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, მათ შორის აივ ინფექციისა და შიდსის რისკის შესახებ, პროექტში ჩართული კონტრაქტორების მიერ დაქირავებულ დასაქმებულთა შორის და იმ ადგილობრივ მოსახლეობას შორის, რომლებიც პროექტის გახორციელების ტერიტორიის ახლოს ცხოვრობენ, განსაკუთრებით ქალებს შორის.

15. მსესხებელმა, RD-ის მეშვეობით უნდა განახორციელოს მეცხრე პუნქტში მოცემულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მკაცრი მონიტორინგი და აღნიშნულთან დაკავშირებით ADB-ს წარუდგინოს რეგულარული ანგარიშები.

გენდერული საკითხები და განვითარება

16. მსესხებელმა, RD-ის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს გენდერული თანასწორობისა პრინციპების დაცვა, რომლის მიზანია პროექტის სარგებელის გაზრდა და პროექტის განხორციელების არეალში ქალთა გავლენის გაზრდა. აღნიშნული პრინციპები გულისხმობს ა) ქალისა და მამაკაცისათვის თანაბარ ანაზღაურებას, თანაბარი მოცულობის სამუშაოსათვის; ბ) ქალი თანამშრომლებისათვის თანამშრომლებისათვის სამუშაო პირობების შექმნა; და გ) აუცილებელი ქმედებების განხორციელება საპროექტო ტერიტორიაზე მცხოვრებ ქალთა პროექტში ჩართვაში წახალისების მიზნით.

პარტნიორული მხარდაჭერა

17. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეულს პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს და RD-ს საკმარისი სახსრები გააჩნდეს სამუშაოების, საქონლისა და საკონსულტაციო მომსახურების კონტრაქტის მიხედვით აღებული ვალდებულებების დასაფარად.

77 17072019

მმართველობა და დონისძიებები კორუფციის წინააღმდეგ

18. მსესხებელმა, მათ შორის პროექტის განმახორციელებელმა სააგენტომ და RD-იმ უნდა (ა) იმოქმედონ ADB-ს ანტიკორუფციულ პოლიტიკის (1998 წლის ვერსია, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) შესაბამისად, გააცნობიერონ რომ ADB-ს აქვს უფლება საკუთარი ძალებით ან აგენტების საშუალებით გამოიკვლიოს პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი კორუფციის, თაღლითობის, ფარული მოლაპარაკებისა ან ძალადობის ფაქტები; და (ბ) ითანამშრომლონ ასეთი სახის ნებისმიერ გამოძიებასთან და გაუწიონ მას ყველანაირი საჭირო დახმარება გამოძიების წარმატებით დასრულების მიზნით.

19. მსესხებელმა, მათ შორის პროექტის განმახორციელებელმა სააგენტომ და RD-იმ უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა სატენდერო დოკუმენტაციასა და ხელშეკრულებაში შეტანილი იყოს ADB-სათვის მისაღები ანტიკორუფციული დებულებები, მათ შორის დებულებები, რომლებშიც აღწერილია ADB-ს უფლება პროექტის განმახორციელებელი სააგენტოების, ყველა კონტრაქტორის, მომწოდებლისა და კონსულტანტის, ასევე სხვა მომსახურების პროვაიდერების პროექტთან დაკავშირებული საბუთებისა და ანგარიშების აუდიტირებისა და შემოწმების შესახებ.

მმართველობა



---

LOAN NUMBER 3524-GEO

LOAN AGREEMENT  
(Ordinary Operations)  
(Secondary Road Improvement Project)

between

GEORGIA

and

ASIAN DEVELOPMENT BANK

DATED June 19, 2017

---

GEO 46375

**LOAN AGREEMENT  
(Ordinary Operations)**

LOAN AGREEMENT dated 19.06.17 between GEORGIA ("Borrower") and ASIAN DEVELOPMENT BANK ("ADB").

WHEREAS

(A) the Borrower has applied to ADB for a loan for the purposes of the Project described in Schedule 1 to this Loan Agreement;

(B) the Project will be carried out by the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia ("MRDI"), and for this purpose the Borrower will make available to MRDI the proceeds of the loan provided for herein upon terms and conditions satisfactory to ADB; and

(C) ADB has agreed to make a loan to the Borrower from ADB's ordinary capital resources upon the terms and conditions set forth herein;

NOW THEREFORE the parties hereto agree as follows:

**ARTICLE I**

**Loan Regulations; Definitions**

Section 1.01. All the provisions of ADB's Ordinary Operations Loan Regulations, dated 1 January 2017 ("Loan Regulations"), are hereby made applicable to this Loan Agreement with the same force and effect as if they were fully set forth herein.

Section 1.02. Wherever used in this Loan Agreement, the several terms defined in the Loan Regulations have the respective meanings therein set forth unless modified herein or the context otherwise requires. Additional terms used in this Loan Agreement have the following meanings:

(a) "Consulting Guidelines" means the Guidelines on the Use of Consultants by Asian Development Bank and its Borrowers (2013, as amended from time to time);

(b) "Consulting Services" means the services to be financed out of the proceeds of the Loan as described in paragraph 3 of Schedule 1 to this Loan Agreement;

(c) "Environmental Management Plan" or "EMP" means the environmental management plan for the Project, including any update thereto, incorporated in the IEE;

(d) "Environmental Safeguards" means the principles and requirements set forth in Chapter V, Appendix 1, and Appendix 4 (as applicable) of the SPS;

(e) "Goods" means equipment and materials to be financed out of the proceeds of the Loan, including related services such as transportation, insurance, installation, commissioning, training, and initial maintenance, but excluding Consulting Services;

(f) "Indigenous Peoples Safeguards" means the principles and requirements set forth in Chapter V, Appendix 3, and Appendix 4 (as applicable) of the SPS;

(g) "Initial Environmental Examination" or "IEE" means the initial environmental examination for the Project, including any update thereto, prepared and submitted by the Borrower and cleared by ADB;

(h) "Involuntary Resettlement Safeguards" means the principles and requirements set forth in Chapter V, Appendix 2, and Appendix 4 (as applicable) of the SPS;

(i) "Loan Disbursement Handbook" means ADB's Loan Disbursement Handbook (2015, as amended from time to time);

(j) "PAM" means the project administration manual for the Project dated 25 November 2016 and agreed between the Borrower and ADB, as updated from time to time in accordance with the respective administrative procedures of the Borrower and ADB;

(k) "Procurement Guidelines" means ADB's Procurement Guidelines (2015, as amended from time to time);

(l) "Procurement Plan" means the procurement plan for the Project dated 11 November 2016 and agreed between the Borrower and ADB, as updated from time to time in accordance with the Procurement Guidelines, the Consulting Guidelines, and other arrangements agreed with ADB;

(m) "Project Area" means the geographical area encompassing the Project Roads;

